შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (9.830)

9 - 16 ივნისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ზარალი დაითვალეს და დახმარებას დაპირდნენ

გვ.3

გიორგი კვირიკაშვილი - საქართველოში სიღარიბე დასაძლევი გვაქვს და ამას არა ერთი წელი დასჭირდება, თუმცა მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად სწორ გზაზე დგას

გვ.2

მოუთმენლად ველოდები მერიაში ერთი დღის გატარებას...

გვ.4

ნონა გაფრინდაშვილის თასის მოგზაურობა თელავიდან დაიწყო

გ3.2

მიწისძვრა საქართველოში



გვ.3

გ3.6

ერთი მძარცველი დააკავეს, მეორე – მიიმალა

დაბრუნებულ 339 მიგრანტს ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა

გ3.2

C M Y K

გიორგი კვირიკაშვილი - საქართველოში სიღარიბე დასაძლევი გვაქვს და ამას არა ერთი წელი დასჭირდება, თუმცა მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად სწორ გზაზე დგას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში სიღარიბე დასაძლევია და ამას არა ერთი წელი დასჭირდება. თუმცა, პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობა ამ პრობლემის დასაძლევად სწორ გზაზე დგას და ეს არის გზა, რომელიც ქვეყანას სიღარიბეს დააძლევინებს.

"როცა ციფრებზე ვსაუბრობ ხოლმე, ყოველთვის ვფიქრობ, რამდენად რთულია იმ ადამიანისთვის ამ ციფრების მოსმენა, რომელსაც დღეს ჯერ კიდევ ძალიან უჭირს, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა. ჩვენ გამოვიარეთ უმძიმესი 2014 წლის კრიზისი, ეს იყო უკრაინაში საომარი მოქმედებები და ოკუპაციით გამოწვეული კრიზისი, ასევე სირიაში ძალიან მძიმე კრიზისი, რომელიც რა თქმა უნდა რეგიონზე აისახა. კრიზისი აისახა ასევე ჩვენს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებზე და აისახა რა თქმა უნდა დევალვაციაშიც. ჩვენი მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდა და მან მნიშვნელოვნად გაასწრო ინფალაციის მაჩვენებლებს, მაგრამ გაიზარდა ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში დოლარის კურსიც. ამან რა თქმა უნდა, სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინა ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ფისკალური რეფორმა, რომელიც ჩვენთან ესტონური მოდელის სახით არის ცნობილი და რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან ჩავრთეთ. მანამდე მთელი წელი ვსწავლობდით ესტონეთის შეცდომებს, ჩავარდნებს და ყველა შესაძლო ხვრელი დაილუქა საკანონმდებლო სწორი რეფორმების შედეგად. ვიმუშავეთ ძალიან ბევრი პარლამენტთან ერთად. შედეგად მივიღეთ ის, რომ ჩვენ არა მხოლოდ დავძლიეთ კრიზისის ეფექტი, არამედ მნიშვნელოვან პოზიტიურ ტენდენციაში მოვახდინეთ ამ კრიზისის ტრანსფორმაცია. საქართველოში სიღარიბე დასაძლევი გვაქვს, ამას არაერთი წელი დასჭირდება და ეს არის სიმართლე, თუმცა ის ტენდენცია, რომელიც ჩვენ გვაქვს აღებული, არის რეცეპტი და გზა ამ სიღარიბის დაძლევის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას ჰქონდეს აბსოლუტურად სწორი და საფუძვლიანი იმედი იმისა, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და ამ გზით ნამდვილად შესაძლებელია, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ დააღწიოს თავი სიღარიბეს", - აღნიშნა პრემიერმა.

ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედია ჩვენთვის იქცა სერიოზულ გამოწვევად

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემდეგ პრემიერმა დღეს პირველი კომენტარი მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ თავად ხელისუფლებას კითხვის ნიშნები გაუჩინა.

პრემიერის განცხადებით, ხორავას ქუჩის საქმესთან დაკავშირებით არსებულ კითხვებს გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს.

გიორგი კვირიკაშვილი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანსაც განმარტავს და აცხადებს, რომ პარლამენტს ხორავას ქუჩის საქმის გამოძიების მიზნით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის იდეა აქციების დაწყებამდე ჰქონდა.

გიორგი კვირიკაშვილმა ზაზა სარალიძის მხარდამჭერ აქციაზეც ისაუბრა, რომელიც პარლამენტის წინ რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პრემიერმა პოლიტიკური პარტიები ანგაჟირებულ ჯგუფებად მოიხსენია. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, აქციაზე არაადეკვატური მოთხოვნები გახმოვანდა.

იენს სტოლტენბერგი - ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯები წელს 3.8%-ით გაიზრდება

ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯები წელს 3.8%-ით გაიზრდება. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატო-ს თავდაცვის მინისტრების საბჭოს შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ნატო-ს გენერალური მდივანის განცხადებით, ალიანსის წევრი ქვეყნები სამხედრო ხარჯებს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ზრდიან.

„ნატო-ს ყველა წევრმა ქვეყანამ შეაჩერა სხვა ხარჯების შემცირება და თავიანთ თავდაცვით ხარჯებს ზრდიან. მათი უმეტესობა 2024 წლისათვის ხარჯების მშპ-ს 2%-მდე მიყვანას გეგმავენ", - აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

გარდა ამისა, სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ნატო-ს წევრები ტექნიკაზე თავდაცვითი ხარჯების 20%-ის დახარჯვას გეგმავენ.

ასევე, ნატო-მ გადაწყვეტილება მიიღო, თავისი

სამეთაურო პერსონალი 1 200 ადამიანით გაზარდოს და ორი ახალი შტაბი შექმნას: გერმანიაში და აშშ-ში.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2 ივლისიდან დაიწყება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგს აქვეყნებს. 2 და 3 ივლისს აბიტურიენტები გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარებენ.

გამოცდების განრიგი ასეთია: **5-6 ივლისი** (პირველი და მეორე სესია) - **ზოგადი უნარები; 9-10 ივლისი**(პირველი და მეორე სესია) - **ინგლისური ენა; 9 ივლისი** (პირველი სესია) - **რუსული ენა; 10 ივლისი** (მეორე სესია) - **ფრანგული ენა; 10 ივლისი** (პირველი სესია) - **გერმანული ენა**; **13 ივლისი** (მეორე სესია) - **მათემატიკა; 16 ივლისი** (პირველი და მეორე სესია) - **გეოგრაფია; 17 ივლისი** (პირველი და მეორე სესია) - **ისტორია; 19 ივლისი** (პირველი სესია) - **ლიტერატურა; 20 ივლისი** (მეორე სესია) - **ბიოლოგია; 23 ივლისი**(მეორე სესია) **სტუდენტთა საგრანტო კონკურსი; 24 ივლისი** (პირველი სესია) - **სამოქალაქო განათლება; 25 ივლისი** (პირველი სესია) - **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; 25 ივლისი** (პირველი სესია) - **ქიმია; 26 ივლისი** (პირველი სესია) - **ფიზიკა.**

იაპონიაში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა

იაპონიის ქალაქ უცუნომიაში, (ტოტიგის პრეფექტურის ადმინისტრაციული ცენტრი) ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა.

როგორც ღვინის ეროვნულ სააგენტოდან განაცხადეს, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია Red Bridge-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში და იაპონელი ტოპ-სომელიე მოტოიკი ოკოში უძღვებოდნენ. ღონისძიებას 50-მდე სტუმარი დაესწრო: დისტრიბუტორები, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები.

სემინარზე წარმოდგენილი იყო 6 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის ღვინოები: „შატო მუხრანი" - რქაწითელი, „თელედა/ორგო" - რქაწითელი, „შუმი/ხაზი იბერიული" - მწვანე, „შალაური" - მწვანე", „შალაური" - საფერავი" და „შუმი/ხაზი იბერიული" - მუკუზანი. სემინარის დასრულების შემდეგ, სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ კიდევ 20-მდე დასახელების ქართული ღვინო.

„კენიჩი ოჰაში ყოველ ღონისძიებაზე საუბარს პირველი ქართველი ოძეკით, პროფესიონალი სუმოისტით ტოჩინოშინით (ლევან გორგაძე) იწყებს, რაც იაპონიაში საქართველოს და ქართული ღვინის ცნობადობას საგრძნობლად ზრდის", — აცხადებენ სააგენტოში.

როგორც ღონისძიების დასასრულს მოტოიკი ოკოშიმ განაცხადა, იაპონელ მომხმარებელს ეძლევა დაეგემოვნოს უნიკალური სტილის ქართული ღვინოები, რომლებიც განსხვავდება ყველა სხვა ქვეყნის ღვინოებისგან ხასიათით, მრავალფეროვნებით და დამზადების უნიკალური ქართული მეთოდებით.

იაპონელი სომელიე მიიჩნევს, რომ ქართული ღვინოები კარგად ეხამება სხვადასხვა სახის სპეციფიკურ საკვებს. დეგუსტაციის სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ქართულმა ბრენდმა და წითელმა ნახევრადტკბილმა ღვინოებმა მოახდინა.

კენიჩი ოჰაშის ინფორმაციით, სტუმართაგან 14-მა უკვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქართული ღვინო დაამატოს საკუთარი გაყიდვების სიას.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით ექსპორტირებულია 98 ათასზე მეტი ბოთლი ღვინო, რაც 186%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ევროპარლამენტი 12 ივნისს დებატებს გამართავს თემაზე - საქართველოს ოკუპირებული ოტერიტორიები - ათი წელი რუსეთის შეჭრის შემდეგ

12 ივნისს ევროპარლამენტი დებატებს გამართავს თემაზე „საქართველოს ოკუპირებული ოტერიტორიები - ათი წელი რუსეთის შეჭრის შემდეგ". ამის შესახებ ინფორმაცია ევროპარლამენტის ოფიციალურ საიტზეა განთავსებული. ევროპარლამენტარების დებატების შედეგად რეზოლუცია იქნება მიღებული.

ევროპარლამენტის სესიას აღნიშნულ საკითხზე ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინი გახსნის.

საქართველოსა და ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოეწერება ხელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, რამდენიმე დღეში საქართველოსა და ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოეწერება ხელი.

როგორც კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა, ეს შეთანხმება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საქართველოს, როგორც ღიას ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის.

"მინდა გავამახვილო ყურადღება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე საქართველოსა და ჰონგ კონგს შორის. უახლოეს ხანში თავისუფალი ვაჭრობის პორტფელს, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია კიდევ ერთი დაემატება. რამდენიმე დღეში იქნება BALT AND ROAD-ის სამიტი ჰონგ კონგში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონთანაც მოეწერება ხელშეკრულებას ხელი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი პროდუქციის ექსპორტისთვის. რა თქმა უნდა, ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საქართველოს, როგორც ღიას ვაჭრობისთვის, ინვესტიციებისთვის და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დამატებით ბიძგს მისცემს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

ნონა გაფრინდაშვილის თასის მოგზაურობა თელავიდან დაიწყო

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ 1997 წელს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალის, ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის თასი დააწესა, რომელიც საჭადრაკო ოლიმპიადებზე მამაკაცთა და ქალთა გუნდებში ჯამში საუკეთესო შედეგის მფლობელ ქვეყანას გადაეცემა.

1998 წლიდან ნონა გაფრინდაშვილის გარდამავალი თასი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდა, წელს კი გარდამავალი თასის საქართველოში მოგზაურობა კახეთიდან დაიწყო.

თელავში ბლიც-თამაში გაიმართა, სადაც დიდოსტატ ქალებთან ერთდროულად 30 დაფაზე ნონა გაფრინდაშვილმა, ქეთი წაწალაშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა ითამაშეს.

ნონა გაფრინდაშვილის გარდამავალ თასს მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს ბათუმის საჭადრაკო ოლიმპიადაზე მამაკაცთა და ქალთა გუნდებში საუკეთესო შედეგის მქონე ქვეყანა მოიპოვებს, თუმცა მანამდე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის თასი საქართველოს ყველა რეგიონს მოივლის.

საქართველოში დაბრუნებულ 339 მიგრანტს მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოში დაბრუნებულ 339 მიგრანტს მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა.

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი კახეთის რეგიონში იმ დაბრუნებულ მიგრანტებს შეხვდა, რომლებსაც სახელმწიფომ პროექტები დაუფინანსა.

12-წლიანი, არალეგალური ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ქეთევან მიშიძემ, რეინტეგრაციის პროგრამის დახმარებით, ხის სადურგლოსთვის საჭირო იარაღები შეიძინა და დღეს, მეუღლესთან ერთად, საოჯახო ბიზნესი აქვს.

გერმანიიდან დაბრუნებულმა იროდიონ მამუკაშვილმა გრანტის საშუალებით თელავში საოჯახო სასტუმრო გააკეთა.

მებოცვრეობის პროექტი დაუფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულ გიორგი მიქელაძეს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაეცა რუსეთიდან დაბრუნებულ მარიამ კაციაშვილს, რომელსაც გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში მარწყვის ბაღი აქვს.

„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის" ფარგლებში, კახეთის რეგიონში ჯამში 28 პროექტი დაფინანსდა.

ზარალი დაითვალეს და დახმარებას დაპირდნენ

5 ივნისს, საღამოს ძლიერი ქარი იყო ზემო მაჩხაანში. ქარმა ნაწილობრივ დააზიანა ორი საცხოვრებელი სახლის სახურავი და მოგლიჯა ხე.

უამინდობას თან ახლდა სეტყვაც. სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ოპერატიული და ეფექტური რეაგირების შედეგად მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა.

დილიდან ადგილზე იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი , მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი ნასრაშვილი და მერის წარმომადგენელი ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იაკობიშვილი. ისინი ადგილზე გაეცნენ არსებულ მდგომარეობას და მოსახლეობას მიყენებული ზიანის აღმოფხვრაში დახმარებას დაპირდნენ.

მიწისძვრა საქართველოში

5 ივნისს, თბილისის დროით, 22:40 საათზე, აზერბაიჯანში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან 15 კმ-ში მოხდა 5.7 მაგნიტუდის სიდიდის მიწისძვრა. მიწისძვრას ჰერეთში მოყვა შენობების ძლიერი დაზიანება, ადგილობრივი ქართველების ინფორმაციით, მსხვერპლი არ არის• მიწისქვეშა ბიძგები იგრძნეს საქართველოშიც, მათ შორის დედოფლისწყაროშიც.

► საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გვიან ღამით მომხდარ მიწისძვრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნგრევა და ზიანი არ გამოუწვევია.

► ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები შესაბამის მონიტორინგს მთელი ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ.

► მიწისძვრის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზიანის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურეობის განყოფილებაში ამ მომენტისთვის არცერთი განცხადება შემოსული არ არის

როგორ ხდება მიწისძვრა

„იმდენად მივეჩვიეთ მყარ მიწაზე დგომას, რომ, როდესაც ის რყევას იწყებს, თავზარი გვეცემა“ (წიგნიდან „ბობოქარი პლანეტა“).

მიწისძვრა ბუნების ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი და საშინელი ძალის მქონე მოვლენაა“, – აღნიშნულია ენციკლოპედია „უორლდ ბუკში“. და ეს არ არის გადაჭარბებული ნათქვამი, ვინაიდან ერთი ძლიერი მიწისძვრის შედეგად გამოთავისუფლებული ენერგია 10 000-ჯერ აღემატება პირველი ატომური ბომბის აფეთქების შედეგად წარმოქმნილ ენერგიას! ამ სტიქიას კიდევ უფრო საშიშს ხდის ის ფაქტი, რომ მიწისძვრა ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, წელიწადისა თუ დღის ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს. თუმცა კი მეცნიერებს შეიძლება გარკვეული ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ სად დაიწყება მიწისქვეშა ბიძგები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმის განსაზღვრა, თუ როდის.

მიწისძვრები ხდება დედამიწის წიაღში ქანთა მასების გადაადგილების შედეგად. ეს მუდმივი პროცესია. ხშირად, ამის შედეგად წარმოქმნილი სეისმური ტალღები არ არის ისეთი სიძლიერის, რომ ჩვენ ვიგრძნოთ, მაგრამ ისინი ფიქსირდება და იწერება სეისმოგრაფის მეშვეობით*. ზოგჯერ დედამიწის ქერქის საკმაოდ დიდი მონაკვეთების გახლეჩა და გადაადგილება ხდება ხოლმე, რის გამოც დედამიწის ზედაპირი ძლიერ ირყევა.

მაგრამ რა იწვევს დედამიწის ქერქის განუწყვეტელ მოძრაობას? «ამის ახსნა შეგვიძლია ვიპოვოთ „ახალ გლობალურ ტექტონიკაში“, ჰიპოთეზაში, რომელმაც მთლიანად შეცვალა გეოლოგიაში მანამდე არსებული



წარმოდგენები, – ამბობენ შეერთებული შტატების სეისმურ სამსახურთან არსებული ეროვნული საინფორმაციო ცენტრის (NEIC) წარმომადგენლები. – დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია, რომ დედამიწის ქერქი შვიდი უშველებელი ფილაქნისგან შედგება, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო მომცრო ზომის რამდენიმე ფილისგან არიან წარმოქმნილი. ისინი განუწყვეტლივ მოძრაობენ ერთიმეორის მიმართ და წელიწადში 10-დან 130 მილიმეტრამდე მანძილით გადაადგილდებიან». ამ ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, მიწისქვეშა ბიძგების კერა უმეტესწილად ამ დიდი ფილაქნების ვიწრო სასაზღვრო ზონებში ანუ სეისმურ სარტყლებში წარმოიქმნება. როგორც ჩანს, ძლიერ მიწისძვრათა 90 პროცენტი სწორედ ამ ზონებზე მოდის.

მაგნიტუდა და ინტენსიურობა

მიწისძვრის სიძლიერე განისაზღვრება მისი მაგნიტუდით ან ინტენსიურობით, რომელიც ბალებში იზომება. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩარლზ რიხტერმა მიწისქვეშა ბიძგების მაგნიტუდის დასადგენი სკალა შექმნა. სეისმური სადგურების ქსელი ფართოვდებოდა და ამასთანავე, რიხტერის სკალაზე დაყრდნობით ახალი სკალებიც იქმნებოდა. მაგალითად, სეისმური მომენტის სიდიდის განმსაზღვრელი სკალით იზომება მიწისძვრის კერაში გამოთავისუფლებული ენერგია.

მაგრამ ფაქტია, რომ ამ სკალების მეშვეობით ყოველთვის სრულად არ ხერხდება მიწისძვრით მიყენებული ზარალის განსაზღვრა. შესადარებლად ავიღოთ ორი მიწისძვრა. აქედან ერთი მოხდა 1994 წლის ივნისში ბოლივიაში, მისი მაგნიტუდა იყო 8, 2; მიწისძვრამ ხუთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ხოლო 1976 წელს ტანშანში (ჩინეთი) მომხდარი მიწისძვრის დროს, რომლის მაგნიტუდა შედარებით ნაკლები იყო – 8, 0 – ასობით ათასი ადამიანი დაიღუპა!

მაგნიტუდისგან განსხვავებით, ინტენსიურობა, რომელიც გამოიხატება ბალებით, უჩვენებს, თუ რა ზარალი მიაყენა მიწისქვეშა ბიძგებმა ადამიანებს, შენობებსა და გარემოს მთლიანობაში. მიწისძვრის სიძლიერის შეფასების ეს სისტემა უფრო თვალსაჩინოა. ჩვეულებრივ, არა თავად მიწისძვრა აზიანებს ადამიანებს, არამედ მისი შედეგები: ჩამოქცეული კედლები, გაზსადენებისა თუ ელექტროგადაცემის ხაზების დაზიანება, ჩამოვარდნილი საგნები და ასე შემდეგ. ძირითადად, ზუსტად ამის გამო ზიანდება ხალხი და სიკვდილსაც სწორედ ეს იწვევს.

სეისმოლოგების ერთ-ერთი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი წინასწარ გააფრთხილონ მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ. ამ მიზნით მუშავდება სპეციალური ციფრული პროგრამა – Advanced Seismic Research and Monitoring System. სი-ენ-ენის შეტყობინების თანახმად, ეს სისტემა, აგრეთვე უფრო ეფექტური პროგრამული უზრუნველყოფა და ისიც, რომ უფრო სწრაფად ხდება ციფრული ხელსაწყოების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მიღება, სეისმოლოგებს დაეხმარება იმაში, რომ „პრაქტიკულად მაშინვე დაადგინონ, თუ რა არეებში გამოიწვია სეისმურმა ტალღებმა მიწის ზედაპირის უფრო ძლიერი რყევა“. ეს კი, თავის მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლებს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებისთვის დროული დახმარების აღმოჩენას გაუადვილებს.

სეისმოგრაფი არის ხელსაწყო, რომელიც იწერს დედამიწის ქერქის რხევებს მიწისძვრის დროს. პირველი სეისმოგრაფი შეიქმნა 1890 წელს. დღესდღეობით მთელ მსოფლიოში 4 000-ზე მეტი სეისმური სადგური ფუნქციონირებს.

მიწისძვრების სიხშირე

მიწისძვრების საშუალო რიცხვი წელიწადში

◆ კატასტროფული 8 და მეტი 1
◆ მეტად ძლიერი 7–7,9 ბალი; – 18
◆ ძლიერი 6–6,9 ბალი; – 120
◆ ზომიერი 5–5,9 ბალი; – 800
◆ უმნიშვნელო 4–4,9 ბალი; – 6 200
◆ სუსტი 3–3,9 ბალი; – 49 000
◆ ძალიან სუსტი 3,0-ზე ნაკლები მაგნიტუდა 2–3: დღეში 1000-მდე
◆ მაგნიტუდა 1–2: დღეში 8000-მდე.

როგორ მოვიქცეთ მიწისძვრის წინამორბედი ნიშნების გარჩევისთანავე

აუცილებელია გამორთოთ ნებისმიერი ელექტრო და გაზის ხელსაწყო;

ჩაიცვათ სწრაფად, აიღოთ საკვები, საჭირო მედიკამენტები, საბუთები და სწრაფად დატოვოთ შენობა;

რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოსცილდეთ შენობას და გასწიოთ მოედნების და სკვერების, ფართო ქუჩების, გაშლილი, უშენობო ადგილებისკენ.

მიწისქვეშა ბიძგების შეგრძნებისთანავე აუცილებელია:

თუ შენობაში ხართ, მოშორდეთ კედლებს, ღობეებს, სვეტებს;

პირველი ბიძგების შემდეგ 1-2 საათი მაინც ნუ შეხვალთ შენობაში, რადგან შეიძლება ბიძგები განმეორდეს;

აუცილებელია სწრაფი და მშვიდი მოქმედება პანიკის გარეშე, რადგან საშუალო ძალის მიწისძვრისას დაზარალებულთა დიდ ნაწილს სწორედ პანიკისა და შიშის გამო გაუაზრებლად მომქმედი ადამიანები შეადგენენ;

მაღალსართულიან სახლებში დადექით შემოსასვლელთან ან აივანთან მდებარე კარებთან, მოშორდით ფანჯრებს, ყველას სჯობს, დადგეთ კუთხეში, რომელიც კაპიტალური საყრდენი კედლებითაა შექმნილი;

მიწისძვრის დროს აკრძალულია ასანთის ანთება და ლიფტით სარგებლობა;

აუცილებელია შენობის დროული დატოვება. ქარხნებსა და ფაბრიკებში, ნებისმიერ საწარმოში ამ დროს უნდა გამოირთოს ყველა ხელსაწყო, შეწყდეს ტექნოლოგიური პროცესი, თუ ეს შეუძლებელია, იგი დამზოგველ რეჟიმზე უნდა იქნეს გადაყვანილი;

თუ მიწისძვრისას საზოგადოებრივ ტრანსპორტში იმყოფებით, დაიცადეთ მის სრულ გაჩერებამდე და მხოლოდ მას შემდეგ დატოვეთ იგი. ამასთან გახსოვდეთ, გზა უპირველეს ყოვლისა ბავშვებს, მოხუცებს, ორსულებს და შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებს უნდა დაუთმოთ;

სასწავლო დაწესებულებებში, სასურველია, თუ მაღალი კლასის მოსწავლეები მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას მცირე ასაკის მოსწავლეთა ევაკუაციაში დაეხმარებიან.

მოუთმენლად ველოდები მერიაში ერთი დღის გატარებას...

26 მაისს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი გამართულ საზეიმო კონცერტზე დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში- „მე რომ მუნიციპალიტეტრის მერი ვიყო“, გამარჯვებული ესსეს ავტორი, სამრეკლოს საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ანა ჩითინაშვილი საზეიმოდ დააჯილდოვა. ანა ჩითინაშვილი აქტიური და ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა. საინტერესოა, როგორია წარმატებული ახალგაზრდის ფიქრები ამა თუ იმ საკითხზე. გთავაზობთ ინტერვიუს ანა ჩითინაშვილთან.

-ანა, საიდან გაჩნდა იდეა, რომ კონკურსში მიგელო მონაწილეობა, საინტერესოა, რა საკითხები გქონდა წინ წამოწეული, რომ ასე მოიხიბლა ჟიური შენ-

ით?

-კონკურსის შესახებ ჩემი სკოლის დირექტორმა შემატყობინა. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან თემების წერა ძალიან მიყვარს და ეს კიდევ ერთი გამოწვევა იქნებოდა, სადაც საკუთარ ძალებს მოვსინჯავდი. რაც შეეხება ჩემს ესსეს, მასში ძირითადად იმ რესურსებზე ვისაუბრე, რომელთა გამოყენების შემთხვევაში დედოფლისწყაროს შეუძლია გახდეს ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული ცენტრი.

-ვინ არის შენი ქართულის პედაგოგი და რა გავლენას ახდენს შენს სწორ აღზრდასა თუ შემოქმედებაზე?

-ჩემი ქართულის პედაგოგი არის სოფიო შიშნიაშვილი - ძალიან საყვარელი, მეგობრული და თბილი ადამიანი. მის ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ზეგავლენად მივიჩნევ იმას, რომ ყველა მოსწავლეს გვასწავლის, რომ ვიყოთ თავისუფლები. ყოველთვის გვაძლევს საშუალებას, თამამად დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი ნებისმიერ საკითხზე. მის გაკვეთილზე არავინაა შეზღუდული. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი ჩემი მისდამი უზომო სიყვარულისა და პატივისცემისა.

-ანა, როგორი ბავშვი იყავი, მაინტერესებს, რამდენად მებრძოლი გოგო იყავი პატარაობისას?

-ვიყავი აქტიური და მხიარული ბავშვი. საკმაოდ ჯიუტიც. ყოველთვის მინდოდა, ჩემი გამეტანა. დამოუკიდებლად მიყვარდა გადაწყვეტილებების მიღება. საკმაოდ მიზანდასახული და მებრძოლიც გახლდით. ძალიან პატარა ასაკიდან დავიწყე კითხვა, შემეძლო მთელი დღე მეკითხა და ბავშვობიდან ვგიჟდები ცეკვაზე, რომელიც ანსამბლმა “იმედმა” შემაყვარა.

-შენი აზრით, დღევანდელ ახალგაზრდობას რა დაღუპავს და რა მოუტანს სარგებელს?

-ჩემი აზრით, დღევანდელ ახალგაზრდებს დაღუპავს ნიჰილიზმი და სიზარმაცე, ხოლო გააძლიერებს საკუთარი თავის რწმენა, ერთად დგომა და თავისუფლების წყურვილი.

-სამომავლო გეგმები, რა პროფესიის არჩევას აპირებ?

-მომავალში თავი წარმომიდგენია წარმატებულ და პროფესიონალ ადამიანად ჩემს საქმეში. ძალიან ბევრი პროფესია მომწონდა, მათ შორის, ჟურნალისტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები. ამჯერად ვფიქრობ, ჩავაბარო საერთაშორისო სამართალზე, თუმცა, ესეც არ მაქვს ზუსტად გადაწყვეტილი.

-ანა, რა არის ბედნიერება?

-ჩემი აზრით, ბედნიერებაა, როცა ცხოვრობ დამოუკიდებელ სახელმწიფოში და გაქვს საშუალება, საკუთარი ცოდნით დაიმკვიდრო თავი. აკეთო ის, რაც გინდა და არ იყო შეზღუდული.

-რა შეგრძნება იყო შენი ესსეს გამარჯვება და როდის აპირებ მერიაში შემოთავაზებული ერთი დღის გატარებას?

-კონკურსში “მე რომ მუნიციპალიტეტის მერი ვიყო”, გამარჯვება მართლა ძალიან მოულოდნელი იყო, რადგან წერის დროს არც მიფიქრია პირველი ადგილის დაკავებაზე. ჩემი სახელის გამოცხადებისას ბედნიერი და ამაყი ვიყავი, ძალიან ემოციური მომენტი იყო. მერიაში მუშაობის ზუსტი დრო ჯერ არ ვიცი, ინფორმაციას ველოდები ბატონი ნიკოლოზისგან. მიუხედავად იმისა, რომ მასთან ერთად მუშაობის გამოცდილება უკვე მაქვს, მაინც მოუთმენლად ველოდები მერიაში მასთან ერთად დღის გატარებას, რაც დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესოდ ჩაივლის.

-რას ელოდები საქართველოში პოლიტიკური თვალსაზრისით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქვეყანაში ცოდნა საკადრისად დაფასდეს?

-საქართველოში ცოდნის სათანადოდ დასაფასებლად აუცილებელია ნებისმიერ სამსახურში ადამიანი დაასაქმონ მხოლოდ და მხოლოდ მისი განათლებისა და გამოცდილების ხარჯზე. უნდა გავემიჯნოთ ნეპოტიზმს. ახალგაზრდებს უნდა აუმაღლონ მოტივაცია, ისწავლონ ძალიან კარგად. ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ განათლება წყალში არ ჩაგვეყრება. ეს ყველაფერი არა მხოლოდ ფორმალურად უნდა არსებობდეს კანონში, არამედ რეალურად ხორციელდებოდეს. თუმცა, მე მჯერა, რომ განათლებული ადამიანი არასდროს დაიკარგება.

-„სიყვარული უძველესი, უახლესი და ერთადერთი მსოფლიო მოვლენაა”-ამბობენ ფილოსოფოსები, შენ როგორ უყურებ ამ გრძნობას?

-. ჩემი აზრით, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ადამიანი, სიყვარულს ცინიზმით ვერ შეხედავს. ამ გრძნობის გარეშე ცხოვრება ძალიან უფერული იქნებოდა. მე, ზოგადად, ძალიან მგრძნობიარე და ემოციური ვარ, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ გულს ჩემზე გაბატონება არ შეუძლია.

-რომელია შენი საყვარელი წიგნი და კომპოზიტორი?

-ზოგადად, ბევრი საყვარელი წიგნი მაქვს და ერთის გამორჩევა ყოველთვის მიჭირს ხოლმე, თუმცა, პაულო კოელიოს “ალქიმიკოსი” როცა წავიკითხე, დიდხანს ვიყავი მისი გავლენის ქვეშ. ამ წიგნმა მომცა ძალა და იმედი, რომ ჩემს არჩეულ გზას მივყვე, არ შემეშინდეს დაბრკოლებების და რწმენა არ დავკარგო. ამჟამად ვკითხულობ რემარკის “სამ მეგობარს”. რაც შეეხება მუსიკას, ბევრ ჟანრს ვუსმენ, მაგრამ საყვარელი ჯგუფი მაინც radiohead-ია, რომლის მოსმენა ყოველთვის ძალიან მამშვიდებს.

-ანა, ძალიან კარგი, საღად მოაზროვნე, ბეჯითი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა გოგონა ხარ, მწამს შენი მიზანდასახულობის, ბედნიერებას და დიდ მომავალს გისურვებ.

ლალი მეხრიშვილი

წინანდლიდან- ბატონის ციხემდე

გასულ კვირას N1 საჯარო სკოლის მეოთხე ბ კლასის დამამთვარებელ ექსკურსიაზე გახლდით თელავსა და წინანდალში- კლასის დამრიგებელ მარინა ინასარიძესთან და კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ზეინაბ პოპიაშვილთან ერთად.მიუხედავად წვიმისა და ცუდი ამინდისა, დაგეგმილი ექსკურსია ნაყოფიერი და სიხარულისმომგვრელი იყო ჩვენი ბავშვებისთვის, რომელთა ჟივილ-ხივილმაც გააყრუა ჯერ წინანდლის სახლმუხეუმის ეზო და შემდეგ მეფე ერეკლეს განახლებული სასახლე და ბატონის მუზეუმი. იმ დღით ჩვენი ბავშვების აბსოლუტურმა უმრავლესობამ პირველად ნახეს და გაიგეს, რომ

ერეკლეს სასახლე - დაარსდა 1927 წელს, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სამუზეუმო კომპლექსში „ბატონის ციხის“ სახელწოდებით შედის: „კახთ მეფეთა სასახლე“ (მე-18 საუკუნე), მეფის კარის ეკლესიები, ერეკლეს მიერ დაარსებული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლის ნაშთები, მეფის აბანო, სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი გვირაბი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარის უნიკალური კარიბჭეები. მათ ნახეს ასევე დაცული ნუმიზმატიკური მასალა, ადრეფეოდალური ხანის სარკოფაგი, გვიანი შუა საუკუნეების აბჯარი, მე-17-19 საუკუნეების სპილენძის საოჯახო ნივთების, საბრძოლო იარაღისა და ხევსურული სამოსელის კოლექციები. დაათვალიერეს მუზეუმის მთავარი საგამოფენო დარბაზი, რომლის სივრცეშიც გამოფენილია: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, საბრძოლო აღჭურვილობის ნიმუშები, ხელნაწერები და რარიტეტული გამოცემები. ასევე, მოინახულეს დროებითი საგამოფენო სივრცე და გალერეა, შეიყტვეს რომ ერეკლე მეფის სასახლისა და ბატონის მუზეუმის პროექტის საერთო ღირებულება 14 მილიონ ლარამდე დაუჯდა ჩვენს სახელმწიფოს. ამით ბავშვებმა შეიძინეს კიდევ ერთი საგანმანათლებლო გამოცდილება არაფორმალურ გარემოში, რადგან სკოლაში შეძენილი ცოდნა და იქ განვითარებული უნარები არ არის საკმარისი, კლასგარეშე განათლება ისევე მნიშვნელოვანია მათი სოციალური და კვლევითი უნარების განვითარებისათვის, როგორც კლასში გამოყენებული სპეციალური მეთოდები. უფრო მეტიც-მოსწავლეები გართობისა და დასვენების დროს გაუცნობიერებლად იძენენ ახალ ცოდნას და ახალი უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად გამოიმუშავებენ გარემოსადმი სწორ დამოკიდებულებას. განახლებული სასახლისა და ბატონის მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 16 მაისს, წინანდლის სახლ-მუზეუმისაკენ ავიღეთ გეზი. აქაც მოსწავლეთა უმრავლესობა პირველად იყო. ბავშვებს შთამბეჭდავად მოუთხრობდა ისტორიული პიროვნებებისა და ფაქტების შესახებ მუზეუმის გიდი, ისინიც დარბაზიდან დარბაზში შთაგონებული სახეებით დაჰყვებოდნენ. სახლმუზეუმის დათვალიერების შემდეგ არც მე-19 საუკუნის უნიკალური ღვინის მარანი დაგვრჩენია ყურადღების მიღმა და ბოლოს, სკოლის დაწყებითი საფეხურის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის აღმნიშვნელმა, პედაგოგებთან გამოსამშვიდობებელმა ღონისძიებამ, რომელიც იქვე,ალ.ჭავჭავაძის

სახლმუზეუმის ღია საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა, უცხოელი დამთვალიერებლებიც კი ადგილზე მონუსხა. ტურისტები ჩერდებოდნენ და ბავშვებს ულებდნენ სიმღერისა თუ ცეკვის, ლექსების თქმის დროს, ჩაიწერეს და წაიღეს უამრავი მასალა.ყველაფრის დასასრულს ქართული ტრადიციული სუფრა გაიშალა და ბავშვებმა და მშობლებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს მარინა ინასარიძეს მათი შვილებისთვის გაწეული დიდი შრომისა და მონდომებისათვის,იმ კეთილი ამბიციისათვის, მარინა მასწავლებელს რომ ახასიათებს, მისი მოსწავლეები რომ უნდა იყვნენ ყოველთვის სკოლაშიც და შემდგომ ცხოვრებაშიც ყველაფრით გამორჩეულები და წარმატებულები, ასევე მადლობა გადაუხადეს კლასში შემავალ ყველა საგნის თუ განაყოფის პედაგოგს.

ელზა ხარაშვილი

„მე მათ ვასწავლიდი კაცთმოყვარეობას, მეგობრობას, პატიოსნებას“...

გზა, რომელსაც დაწყებით კლასებში მოსწავლეები გადიან, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი და ამავდროულად, საპასუხისმგებლო პერიოდია. ადაპტაცია, რომელიც ბავშვობის წლებიდან სკოლის სასწავლო რეჟიმთან შეგუებას ითვალისწინებს, ყველაზე რთულ ეტაპადაა შეფასებული პედაგოგიკაში. რთულია, ასეთ სიტუაციაში წარმატებულად გაართვა თავი მოსწავლეთა სწორად აღზრდას და ამავდროულად მისცე განათლების კარგი საწყისი. ცალსახად გარკვეულია, რომ თუ პედაგოგი რეალურად ირგებს თავის ჭეშმარიტ როლს და მხოლოდ ბავშვთა სწორ აღზრდაზეა ორიენტირებული, იქ ყველაფერი გამართლებულია. სწორედ ასეთი პედაგოგი დავინახე მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი სწავლების მასწავლებელში ქალბატონ დოდო ხუციშვილში. ამ დღეებში ქალბატონმა დოდო ხუციშვილმა თავისი დაფრთიანებული მოსწავლეები გააცილა ზედა კლასებისკენ. „გზა მშვიდობისა“, ასე ერქვა იმ ღამაზ ღონისძიებას, სადაც ყველა ბავშვის შესაძლებლობა მაქსიმალურად და თანაბარწილად იყო გადმოცემული. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საუკეთესო ინსცენირებები დედაენის ირგვლივ, საუკეთესო ლექსები, სიმღერები და ქართული ხალხური ცეკვები. აქ ყველაფერი გახლდათ ჩადებული პედაგოგის მიერ იმისთვის, რომ მოსწავლეებს თავისი მრავალმხრივი ნიჭის შესაძლებლობების მაქსიმუმი დაედოთ. და ჩვენ დავინახეთ ზრდასრული პატარები, რომლებშიც უკვე აგიზგიზებულა სამშობლოს სიყვარული ცეცხლად და რომ დედაენის, დოდო მასწავლებელის და სამშობლოს მიწის სიყვარულს მათ გულებში დავიწყება არ უწერია.

ღონისძიების დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ და დაწყებით კლასებთან გამომშვიდობება მიულოცეს ბავშვებს სკოლის დირექტორმა ლალი იაკობიშვილმა, დირექტორის მოადგილემ ნათია პოპიაშვილმა და პედაგოგმა მზია ხატიაშვილმა. ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ თავად პედაგოგ დოდო ხუციშვილს, რომელიც ამ სკოლის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი, საუკეთესო თაობების აღმზრდელი და დამსახურებული პედაგოგი გახლავთ.

-ქალბატონო დოდო, როგორია თქვენი, როგორც პედაგოგის განწყობა ამ დღის მიმართ?

-დღეს ისეთი დღეა, რომ ასეთ დროს ცრემლის გარეშე მიჭირს ყოფნა, ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი, თუმცა, ყოველთვის თავს ვეუბნები, რომ ცრემლი არ დავანახო ბავშვებს. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ იბარებ სრულიად პატარა, უმწეო ბავშვებს და როდესაც უკვე დამოუკიდებლები ხდებიან, წერა-კითხვა იციან, მსჯელობის უნარი უყალიბდებათ და კარგები ხდებიან, სწორედ ამ დროს მტოვებენ. მე ძალიან განვიცდი ამ ყოველივეს, თუმცა მათი გზა შორს მიდის, მე კი ვალდებული ვარ, ამ დაფრთიანებული ბავშვების გზა დავლოცო და გავაცილო ისინი.

-რა არის ის ძირითადი სამი ღირებულება, რომელიც შთაუნერგეთ თქვენს ნამოწაფარებს?

-მე მათ ყოველდღიურად ვასწავლიდი კაცთმოყვარეობას, მეგობრების დაფასებას, პატიოსნებას, ზრდილობას და კულტურას. არ დამიწყია არცერთი გაკვეთილი ისე, რომ ზრდილობაზე არ მესაუბრა. ვესაუბრებოდი, რომ ეზოში ჩასვლისას კარგად მოქცეულიყვნენ, უფროსებისთვის პატივი ეცათ, ყველას მისალმებოდნენ, თამაშის დროს ერთმანეთის სიყვარული არ დაევიწყებინათ.

-რა არის პედაგოგის მთავარი მოვალეობა და რა კავშირი უნდა არსებობდეს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის იმისთვის, რომ საუკეთესო ოქროს შუალედი დაშენდეს და ამით სარგებელი მიიღოს როგორც მოსწავლემ, ისე პედაგოგმა?

-თუ ბავშვს დააფასებ, თუ მის სულს ჩასწვდები, მაშინ ყველაფერი მიღწეულია. ნათქვამია, ყველა ბავშვს თავისი გასაღები აქვსო. აი, ის გასაღები უნდა მოუძებნო ყველას, ზოგს მოფერება უხარია, ზოგს თავზე ხელის გადასმა. მასწავლებლის მოვალეობაა, ყველას გაუგო, ვის რა თვისება აქვს და იმის მიხედვით მიხვიდე იმ ბავშვთან. გარდა ამისა, მე ყოველთვის ვაგრძნობინებ ბავშვებს, რომ თითქოს ჩემი თანატოლები არიან და მეგობრულ ერთიერთობას ვამყარებ მათთან, ეს მე ძალიან მშველის. ამდენი წლის მუშაობის პრაქტიკაში, არასოდეს შემიზღუდია მოსწავლე, არ შემომიხვევია მათ თავზე ჩემი წესები, ისინი თავისუფლებას გრძნობდნენ, არ ვზღუდავდი, მაგრამ არც ჯოხი მჭერია ხელში და არც ხმამაღალი ხმა გაუგია ვინმეს ჩემს გაკვეთილზე. ეს წესი ჩემგან შორსაა და ვფიქრობ, ნამდვილი პედაგოგისგან მიუღებელიცაა, მით უმეტეს ამ საუკუნეში. როდესაც მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მას ენდობა, მის აზრს იზიარებს და პატივს სცემს, ყოველთვის კარგი ურთიერთობაა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ბავშვი სახლიდან სკოლაში რომ მოდის, ის ამ დროს თავის პატარა საზოგადოებაში მოდის, მან აქ თავი უნდა იგრძნოს სრულყოფილ პიროვნებად, ეს უმთავრესია. თუ ეს არ იგრძნო და აქ ხმაურიანი, აუტანელი სამყარო დახვდა, თავისთავად ცხადია, ის დაიბნევა და აგრესიული გახდება. ბევრჯერ მოსწავლის აზრს მოვიწონებ და გავიზიარებ, ნახეთ, რა კარგად თქვა ბავშვებო, შევაქებ, ამათ ეს სიამოვნებთ და მეორე დღეს სხვებიც ფიქრობენ, რომ მასზე უკეთესები გახდნენ, წლის ბოლოს კი უკვე კარგი შედეგი მაქვს.

-ტოლსტოი ამბობდა: „ძლიერები ყოველთვის უბრალონი არიანო“- ეს სწორედ ის უბრალოებაა მგონი, რასაც მე ამ სკოლაში ვხედავ ...

-ადამიანს თავის თავზე დიდი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს. მე, მაგალითად, საქებარ სიტყვებზე მერიდება

და ვწითლდები. ამჯერადაც, კოლეგებმა ჩემი ღონისძიება რომ მოიწონეს, მე მათი ქებით უხერხულობაში ჩავვარდი, არასოდეს ჩემს თავს აფიშირებას არ ვუკეთებ. მე ვმუშაობ, პირველ რიგში არა ჩემი სახელისთვის, არამედ ბავშვებისთვის, რომ ისინი სწორად ჩამოყალიბდნენ. მე უბრალოებას პატივს ვცემ და მთელი ცხოვრება ასე მოვდივარ, დიახ, უბრალოებაშია ყველაზე დიდი ბედნიერება. მთავარია, რომ ჩემს ღვაწლს მშობლები და მოწაფეები აფასებენ და ეს ყველა დიდებაზე უფრო მაღალია.

-ეთანხმებით თუ არა ჟან-ჟაკ რუსოს გამონათქვამს, -„აცალეთ ბავშვს მომწიფდეს ბავშვობაში“?

-მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, 5 წლიანი ბავშვები რომ მომიყვანეს სკოლაში. ეს იყო ბავშვის ყველაზე საუკეთესო ბავშვური წლების დაკარგვა. როდესაც ბავშვი ყველაზე მეტად უნდა განვითარდეს თამაშში, ის მაშინ ტოვებდა ბავშვობას, 5 წლის ბავშვისთვის დამღლელი იყო მერხთან ჯდომა, წერა, იძულებით კითხვა, შედეგი რომ ვერ მიიღო განათლების სამინისტრომ, ამიტომ გააუქმა, აბა, იქ ისეთები კი არ სხედან, რომ არ თვლიდნენ ასაკობრივ ზღვარს, ისინი ტყუილ-უბრალოდ არ აკეთებენ პროგრამას, რომელი ასაკისთვის რა არის გათვალისწინებული და რა უნდა შეისწავლოს ბავშვმა, ეს სტანდარტია და ყველა პედაგოგმა უნდა დაიცვას ისევ და ისევ ბავშვის გონების სასარგებლოდ. არაფრით არაა სწორი, წინდაწინ შეასწავლო ბავშვებს მომდევნო წლის მასალა, ეს მათ გონებრივ დაღლას და სწორედ იმ აგრესიას იწვევს, რომლის საწყისსაც ასე დაეძებენ სხვადასხვა ინსტიტუტები და ვერ უპოვიათ! -აი, სწორედ აქედან, ნაადრევი გონებრივი დატვირთვიდან. ბავშვს ბავშვობის წლები არ უნდა წავართვათ. ზაფხულობით მე ბევრ დავალებებს არ ვაძლევ ბავშვებს, არასოდეს არ დამივალდებულებია რვეულების გავსება მათთვის. მოსწავლე ჯერ წიგნს უნდა მიეჩვიოს, წიგნი უნდა შეუყვარდეს, კი არ უნდა შესძულდეს, შემდეგ მშობელი და პედაგოგი ეტაპობრივი მუშაობით ისე აყვარებენ წიგნს, რომ თავად უჩნდება მოსწავლეს წიგნის კითხვის სურვილი.

-თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს სკოლა მოსწავლის ოჯახში არსებული ლაფსუსი გამოასწოროს და ბავშვი გამოიყვანოს ჩაკეტილი სივრციდან?

-პედაგოგს ხშირი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ოჯახთან, იცნობდეს იმ გარემოს, სადაც იზრდება, ახლოს იცნობდეს მის მშობლებს, ხშირი საუბრებით და ხშირი მიკითხებით ბავშვი აუცილებლად გამოსწორდება. რა თქმა უნდა, ასეთ მოსწავლეს გვერდში დგომა სჭირდება, რათა იმ მძიმე გარემოდან გამოვიდეს და როგორმე კეთილშობილად აღიზარდოს. თუკი პედაგოგს აქვს ამის სურვილი, ბევრი სახის მუშაობით შეიძლება აღმოიფხვრას ეს პრობლემა, დაისწროს მშობელი გაკვეთილზე, დაანახოს, სხვა ბავშვები როგორები არიან. ასეთი ურთიერთობით აუცილებლად ყველაფერი გამოსწორდება.

-თქვენს მიერ დანახული დღევანდელი პედაგოგიკის მანკიერი მხარეები მაინტერესებს.

-ჩემი აზრით, არასწორად მომუშავე პედაგოგი უნდა გამოაშკარავდეს და არა ხელი დაეფაროს, რათა ბავშვის სული არ დაამახინჯოს და სულ არ დაღუპოს თაობები. ყოველთვის ვეცადოთ, რომ კარგი დავანახოთ ბავშვს და ის მანკიერი მხარე, რაც ვიცით, უმტკივნეულოდ აღმოვფხვრათ. ბავშვის მინუსებზე რომ საუბრობენ და ამხელენ პედაგოგები, თვითონ ეს მხარე ხომ შეიძლება უფროსებსაც გვქონდეს და თუ მე ასეთი პედაგოგი ვარ, იმ ბავშვთან როგორ ვიმუშავებ, როგორ ვასწავლი მას?! პედაგოგი გახლავთ პიროვნება, ვისაც მშობელი ბავშვს აბარებს, ამიტომ ის უნდა იყოს იმდენად სათუთი, იმდენად კარგი, რომ ყოველთვის მისაბაძი იყოს მოსწავლისთვის. მოსწავლე, როდესაც დაინახავს მასწავლებლის დადებით თვისებებს, ძალაუნებურად მიბაძავს და დაემსგავსება მას. ამიტომ პედაგოგის ქცევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ასმაგად მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ნებისმიერ რიგით მოქალაქეს. მიმაჩნია, რომ მასწავლებელი უნდა იყოს უნაკლო ქცევების, რომ პატივისცემას იმსახურებდეს.

-„ზნეობა ნიჭია საზოგადოების“- როგორ საზოგადოებაშიც ვცხოვრობთ დღეს, ზნეობის საზომიც ისე განისაზღვრება, თქვენი აზრით, რა სტანდარტით უნდა გადავცეთ მოსწავლეს ზნეობის საუკეთესო მაგალითები, რათა ზნეობრივი ღირებულებები დაბლა არ დაეშვას.

- მასწავლებელი კულტია, მაგალითია ბავშვისთვის, ზნეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ შენი მაგალითი დაინახოს ბავშვმა და გადაიღოს. მე ყველაფერს ვასწავლი აქ - კაცთმოყვარეობას,ზრდილობას, ჰუმანურობას. მასწავლებელი იმას კი არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მოვიდე და საგანი ვასწავლო! არა, საგნის გარდა ძალიან ბევრ რამეს ვაჩვევთ, საზოგადოებაში, უფროსებთან, თანატოლებთან ქცევას, სუფრასთან ქცევის წესებიც კი უნდა აკონტროლოს ბავშვმა ამ ასაკში უკვე. ამ ყოველივეზე ხშრად ვსაუბრობთ და პრაქტიკაშიც ვაკვირდები, რათა ამა თუ იმ ბავშვში გამოვასწორო რაიმე ხარვეზი. გასვლითი ღონისძიებების დროს ვცდილობ, რომ ყველამ შეძლოს წამოსვლა, რომ ბავშვმა პრაქტიკაში დაგვანახოს თავისი თავი, პრაქტიკული მაგალითები ბევრს გვაჩვენებს. ბევრ ისეთ ნიუანსს ხედავს მასწავლებელი და შემდეგი მუშაობისას, ამაზე უნდა გააკეთოს აქცენტი

-მინდა გაიხსენოთ თქვენს მიერ ჩატარებული გამორჩეული და დასამახსოვრებელი ღონისძიება.

- წლების წინ მყავდა თაობა, რომლებსაც წიგნს ვუკითხავდი გაკვეთილებიდან შემორჩენილი წუთების ხარჯზე. ეს გახლდათ გიორგი პაპიაშვილის წიგნი - „დიდი ცხოვრების გზაზე“. წიგნში მათი ასაკის შესაფერისი გმირის ცხოვრება იყო ასახული. მე ის მესამე კლასში ყოველდღე ჩანთით დამქონდა და თითო ფურცელს ხან სპორტის გაკვეთილზე მოვიპარავდი დროს, ხან სხვა საგანზე და ბავშვებს დამატებით ვუკითხავდი. ისე მოხდა, რომ ბავშვებმა მოქმედ პირს წერილები მისწერეს, ნახატები მიუძღვნეს. მშობელთა ჩართულობა ახლა რომ მოიგონეს, მე მშობლები მაშინ (1995-96 წლებში) ჩავრთე. გამოიტანეს ბიბლიოთეკიდან წიგნები, ვისაც ხელი მიუწვდებოდა, კითხულობდნენ სახლებშიც მშობლებთან ერთად და იყო მთელი ამბავი ამ მოთხრობის ირგვლივ. ისე ჩაერთვნენ ყველანი, რომ თვენახევარში მოვრჩით ამ წიგნის კითხვას კლასში, იმდენად კმაყოფილები იყვნენ, ყოველმხრივ გაითავისეს გმირის წიგნში აღწერილი ცხოვრება, ბავშვები გაკვეთილზე ტიროდნენ, ისე შეიყვარეს ეს გმირი. დასასრულს მოვახდინე ამ წიგნის განხილვა. განათლება, რაიკომი, მთლიანი ჩვენი საზოგადოება, პრესა, ყველა აქ იყო ამ ღონისძიებაზე მოწვეული. გამოვიდა ძალიან კარგი, საინტერესო საღამო, რამაც მე უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, ცხოვრებაში ეს არ დამავიწყდება. მაშინდელ თაობას ალბათ კარგად ახსოვს ეს დღე. შემდეგ წლებში კიდევ მქონდა ასეთივე დასამახსოვრებელი ღონისძება „ქართული სუფრა ხალხურ მოტივებზე“. მაშინაც კარგი შეფასება მივიღე, მრავალი ასეთი ღონისძიება მახსენდება მუშაობის მანძილზე, შენახული მაქვს ალბომები, ვიდეო და ფოტომასალა.

-მადლობა საინტერესო საუბრისთვის. N 2 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელთა მშობლების სახელით, მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ ესთეტიკურად დახვეწილი, ლამაზი და ღირებულებებით აღსავსე გაკვეთილები აჩუქეთ ჩვენს შვილებს. გმადლობთ, რომ პატარებს აჩვენეთ და საგზლად გამოატანეთ სითბო, სიყვარული, პატივისცემა და, რაც ყველაზე მთავარია, ასწავლეთ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ, როგორ გახდნენ ქვეყნის ღირსეული მამულიშვილები.

ლალი მეხრიშვილი

ჩემი საქართველო აქ არის...

8 ივნისს N2 საჯარო სკოლაში მიგვიწვიეს. ინგლისური ენის მასწავლებელი ოლიკო კიკილაშვილი სადამრიგებლო მეექვსე კლასთან ღონისძიებას მართავდა სახელწოდებით „ჩემი საქართველო“. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ უკვე მერამდენედ მოვხვდი ოლიკო მასწავლებლის ღონისძიებაზე, რომელსაც, თუნდაც, მხოლოდ ენერგიულობისა და აქტიურობის მიხედვით თუ შევაფასებთ, ბევრი ახალგაზრდა ვერ დაეწევა.

ღონისძიება ჩვენი ქვეყნის ჰიმნით დაიწყო, რასაც მოჰყვა საქართველოს ისტორიული მიმოხილვა დასაბამიდან დღემდე.

მოსწავლეები გულიდან ამოსული გრძნობებით სავსე სიტყვებითა და სიმღერებით, ლექსებით მოეფერენენ გმირებს. პატრიოტული ფიცი დადეს, რომ არასოდეს დაივიწყებენ მათ, ვინც თავი ჩვენი ქვეყნის თავისუფალ მომავალს შესწირა.

თითოეული მეფის გმირულ ისტორიას გვიყვებოდნენ ბავშვები, არცერთი ომი და გადატანილი ქარტეხილი არ დარჩენიათ ყურადღების მიღმა.

„დარდიან გულზე ქართლის ბედმა გადამიარა,
ჩემო არაგვო, შემინგრიე გულისფიცარი,
რადგან ნაპირნო, სანატრელნო, შვებით მომზირნო,
მამულს პატრონი აღარა ჰყავს „ძილშიც მღვიძარნი“...

გვიკითხავს მეფე ერეკლეს სევდიან ისტორიას ლანა და ვრწმუნდებით, რომ ამ ბავშვებს ს არასოდეს არ დაავიწყდებათ ჩვენი სამშობლოს ტრაგიკული ისტორია, რადგანაც თვითონ შეძლეს და გაითავისეს თუნდაც ერთი საათით ჩამდგარიყვნენ იმ ქართველი მამულიშვილების რიგებში, ვინც ეს ტრაგედია საკუთარი მხრებით ზიდეს... ეტვირთათ ის დარდი, რა დარდსაც ატარებდნენ მათი თანატოლები და უფროსები იმ წუთებში...

ღონისძიების მუსიკალური გაფორმების ორგანიზატორი იყო მეორე საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი ნინო ალადაშვილი. დასასრულს მოსწავლეების სოსო ჯავახიშვილისა და გიორგი ბოდაველის არაჩვეულებრივმა შესრულებამ „ჩემი საქართველო აქ არის“ დარბაზი აპლოდისმენტების ხმით დაახშო. ღონისძიების დასრულების შემდეგ სკოლის დირექტორმა ლალი იაკობიშვილმა ბავშვებს მადლობა გადაუხადა აქტიურობისა და ეროვნულ-პატრიოტული ხასიათის საინტერესო სცენური წარმოდგენის თაობაზე.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ერთი მძარცველი დააკავეს, მეორე — მიიმალა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახლახან მომხდარი საცხოვრებელი ბინების გაქურდვის საქმე გახსნილია. გასულ თვეში ერთმანეთის თანმიმდევრობით ქალაქ დედოფლისწყაროში 9 ძმის ქუჩაზე ორი ბინა გაქურდეს. მათგან ერთერთი დაკეტილი იყო. პოლიციამ ბრალი ორ მამაკაცს წარუდგინა, ორივე ბრალდებული ადგილობრივი მკვიდრია. გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ამ ბრალდებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული **ლევან კბილცეცხლაშვილი** დააკავეს, ხოლო 1995 წელს დაბადებული, ამჟამად მიმალვაში მყოფი **ლ. ბოდაველი** ამხილეს. სავარაუდოდ, მან ქვეყნის დატოვება უკვე მოასწრო. ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებდა. ძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა დედოფლისწყაროში, 9 ძმის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლებში წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეაღწიეს, სადაც ფარულად დაეუფლნენ სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთებსა და სამკაულებს. მტკიცებულებების მიხედვით, ბინებში შეღწევა არაერთგზის მოხდა.

ბოლო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ინტენსიური მუშაობის შედეგად, თბილისში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთსა და შიდა ქართლში ქურდობის 16 ფაქტი გახსნეს, 13 პირი დააკავეს, 16 კი ამხილეს. შს სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებულებმა ნაქურდალი ნივთების ერთი ნაწილი გადამალეს, დანარჩენი ნივთები კი მეტროსადგურ „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლომბარდში ჩააბარეს, ასევე, თბილისში, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის“ ახლოს მდებარე ე.წ. „ოქროს ბირჟაზე“ და ქალაქ ყვარელში გაყიდეს. სამართალდამცველებმა რეალიზებული და გადამალული ნაქურდალი ნივთების დიდი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. საგამოძიებო მოქმედებების დასრულებისთანავე, აღნიშნული ნივთები კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდება. დაზარალებული გურგენიძეები კი ამბობენ, რომ ნაქურდალის მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნდათ.

ბინების გაქურდვის ფაქტებზე საუბრობენ სხვა მოქალაქეებიც. გაზეთი „შირაქი“ ისეთ ოჯახებსაც შეხვდა, რომლებმაც ეჭვმიტანილების ვინაობის დადგენა შეძლეს, თუმცა შედეგით კმაყოფილნი მაინც არ არიან.

„მივესალმები, ამ ბინების მძარცველი რომ დააკავეს. დამნაშავე სათანადოდ თუ არ დაისაჯა, ამგვარი დანაშაულების განმეორების საფრთხე კვლავ დარჩება. დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე მეც რამდენჯერმე გამიქურდეს სახლი. შარშან ზაფხულს დაიწყო და არ დაადგა საშველი. ეს სახლი დაკეტილი მაქვს, მაგრამ ყოველთვე ჩამოვდივარ, ვასუფთავებ, ვპატრონობ. მაინც დიდხანს ვერ შევამჩნიე, რომ გარკვეული ნივთები იკარგებოდა. ეზოში შეშა მქონდა, ისიც კი წაიღეს. როცა დავეჭვდი, განცხადება შევიტანე პოლიციაში და ხელიც ჩემს მეზობლებს დავადე, რომლებიც ქირით ცხოვრობდნენ. ასე ვვარაუდობდი და შემდეგ დადასტურდა, რომ მათი ბრალი იყო. თუმცა არ დაუსჯიათ, სოციალურად დაუცველი ოჯახია, ქირასაც ადგილობრივი ბიუჯეტი უხდის და ერთადერთი ის მოხდა, რომ დიდი მოთხოვნის შემდეგ ისინი საცხოვრებლად სხვაგან გადაიყვანეს. არ დაუსჯიათ, თურმე სოციალურად დაუცველებს ზოგჯერ კანონი არ ეხებათ. არადა, რაც დასჭირდებოდათ, ჩვენი სახლიდან გაჰქონდათ,“ – უამბობს „შირაქს“ ციცი ჯაყელი.

რა ღონისძიებებს ატარებენ ძალოვანი უწყებები მიმალული ბრალდებულის ამჟამინდელი ადგილსამყოფელის დადგენისა და მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით, ამას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური არ აკონკრეტებს. სამინისტროს არც ის დაუკონკრეტებია, რა გზით მიიმალა მძარცველი, ან გადაკვეთა თუ არა მან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რომელიმე მონაკვეთი. ამ მონაცემების დადგენა სახელმწიფო უწყებებს არ უნდა გაუჭირდეთ, მით უფრო, რომ მისი ვინაობა პოლიციისთვის ცნობილია. თუ მან ქვეყნის დატოვება ოფიციალური გზით მოახდინა, ამის თაობაზე გამშვებ პუნქტებში ოფიციალური მონაცემების გარდა ვიდეო თვალის კადრებიც ინახება. რამდენად ეფექტური იქნება გამოძიება და რა შედეგი დადგება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ილია მარტყოფლიშვილი

რა შემთხვევაში შეეძლება პაციენტს დანიშნულების გასაჩივრება?

საჭიროზე მეტი მედიკამენტის გამოწერის პრობლემა არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოშია, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტრომ პოლიფარმაციის პრევენციასთან დაკავშირებით რეგულაციის ამოქმედების გადაწყვეტილება მიიღო, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ მაია ლაგვილავამ განუცხადა. მაია ლაგვილავამ ჟურნალისტებთან საუბრისას რეგულაციის შინაარსზეც ისაუბრა.

“ჩავატარეთ კვლევა, როგორი მედიკამენტების მოხმარება ხდებოდა უფრო ხშირად, რომლის თანახმადაც გამოვლინდა, რომ 65 წელს ზემოთ ძალიან მაღალი იყო მედიკამენტების გამოყენების შემთხვევები და ასევე ჯიბიდან გადახდების წილი ამ მედიკამენტებზე იყო ასევე მაღალი. ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, ევროპისთვისაც. არაგეგმიური ჰოსპიტალიზაციის 11% სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება. საქართველოში ჰოსპიტალიზაციის ასეთი შემთხვევები დათვლილი არ გვაქვს, თუმცა, ახლა მოხდება ამ საკითხის შესწავლა მომართვიანობის საფუძველზე,”- განაცხადა ლაგვილავამ.

მინისტრის მოადგილემ ასევე განმარტა, რომ ნებისმიერ პაციენტს, რომელსაც ექიმი დაუნიშნავს 5 და მეტ მედიკამენტს, საშუალება ექნება , გადაამოწმოს თავისი დანიშნულება.

“რა თქმა უნდა, თუ ექიმის მიერ მისთვის მიცემული პასუხი არ იქნება მისთვის დამაკმაყოფილებელი და კომპეტენტური, შეუძლია მიმართოს ჯანდაცვის სამინისტროს. ამისთვის არსებობს რამდენიმე ხერხი. ექიმები მუშაობენ ელექტრონული რეცეპტის სისტემაში, მათ მიერ გაცემული დანიშნულება იტვირთება სამინისტროს პორტალზე. ახლა ჩნდება დანიშნულებაში ღილაკი, რომელზე დაჭერის შემთხვევაშიც, დანიშნულება პირდაპირ გენერირდება და მოხვდება პოლიფარმაციის საკითხებთან დაკავშირებულ კომისიაზე. სამი დღის ვადაში პაციენტს იგივე ელექტრონული პორტალის საშუალებით დაუბრუნდება პასუხი, სადაც იქნება მხოლოდ ორი წინანდადება დაწერილი - “დანიშნულება ექვემდებარება გადახედვას”, ან “დანიშნულება არ საჭიროებს გადახედვას”. თუ დანიშნულება საჭიროებს კორექტირებას, პაციენტს შეუძლია მიმართოს მკურნალ ექიმს და მოითხოვოს განმარტება. თუ კვლავ არ დააკმაყოფილებს ექიმის პასუხი, მას კიდევ ერთხელ აქვს საშუალება ატვირთოს პორტალზე თავისი დანიშნულება. ასეთ შემთხვევაში კომისია ექიმისგან გამოითხოვს განმარტებას, თუ რატომ არ მოხდა დანიშნულების კორექტირება. თუ პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იქნება, ექიმის დაბარება და მისი კვალიფიკაციის გადახედვა მოხდება, რათა მოხდეს ამ დანიშნულების გადახედვა,”- განმარტა ლაგვილავამ და დასძინა: “რეგულაცია მიმართული არ არის იმისკენ, რომ ექიმმა დანიშნულების დაწერისგან თავი შეიკავოს”.

საეკრანო დრო – პატარებისთვის!

დღეში რამდენი საათით შეიძლება პატარებს ე.წ. საეკრანო დრო, ანუ აიპედთან, ტაბლეტთან, კომპიუტერთან, სმარტფონთან და ტელევიზორთან ყოფნის უფლება მივცეთ? რა ასაკიდან შეიძლება მათთვის სოციალური ქსელების გამოყენება? „ამერიკის ხმა“ რუბრიკაში „გალილეო“ ამერიკელი და ბრიტანელი ექიმების რჩევებთან ერთად, შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებსაც გაგაცნობთ.

ბრიტანული მედია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იუწყებოდა ოთხი წლის გოგონას შესახებ, რომელიც ფსიქიატრიულ მკურნალობას გადიოდა აიპედზე დამოკიდებულების გამო. „დეილი მეილში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ბავშვის მკურნალი ექიმი, ლონდონელი ფსიქიატრი რიჩარდ გრემი იუწყებოდა, რომ დამოკიდებულება ბავშვს აიპედის მოხმარების დაწყებიდან სულ ერთი წლის განმავლობაში გაუჩნდა. დაავადება, მისი თქმით, იმდენად სწრაფად პროგრესირებდა, რომ მკურნალობის გარეშე შესაძლოა პატარას 11 წლის ასაკში უკვე კლინიკაში ჰოსპიტალიზაცია დასჭირვებოდა. თუმცა, ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევა გახლდათ და მის განზოგადებას თავად ფსიქიატრი გრემიც ერიდება. როზი ფლევიტი, ლონდონის უნივერსიტეტის განათლების ინსტიტუტში ჩატარებული კვლევის მიხედვით ამტკიცებს, რომ იგივე აიპედი ბავშვების განათლების საქმეში ძალზე წარმატებული ინსტრუმენტია. მან ექსპერიმენტი საბავშვო ბაღებში და დაწყებით კლასებში ჩაატარა. ფლევიტი ხაზს უსვამს აიპედის მნიშვნელობას განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სწავლის პროცესში მიღწეულ წარმატებებში.

სოციალურ მედიაში ბავშვების გაწევრიანებას რაც შეეხება, ქსელების უმრავლესობა ხელმოწერის პირობად მინიმალურ ასაკს, 13 წელს, ასახელებს. თუმცა, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ბავშვების 59% სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი 10 წლამდე ხდება. „ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული გამოკითხვის მიხედვით, 12 წლამდე ბავშვების 43%-ს ინტერნეტზე უცნობებთან მიწერ-მოწერა აქვს. ბრიტანელი ბავშვთა ფსიქოლოგის, ექიმ რიჩარდ ვულფსონის თქმით, „სოციალური ქსელებით ადრეულ ასაკში სარგებლობა ბავშვებს ისეთი შინაარსის ინფორმაციასთან შეხების შანსს აძლევს, რისი აღქმის უნარი მათ ემოციურად ჯერ არ გააჩნიათ“.

სპეციალისტები ბავშვებისთვის კომპიუტერების აკრძალვის მომხრეები არ არიან. დაბალანსებულად მიწოდებული ციფრული მედია ბავშვთა უფლებების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილადაც კი მოიაზრება. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის კომიტეტმა ჟენევაში ა.წ. სექტემბერში ჩატარებულ 67-ე სესიაზე ერთ-ერთ მთავარ თემად „ციფრული მედია და ბავშვთა უფლებები“ განიხილა. 12 სექტემბერს რამდენიმესაათიანი დისკუსიების შემდეგ გამოიცა რეკომენდაციები, რომლებიც ოთხ ნაწილს მოიცავს: უფლებებით აღჭურვას, ხელმისაწვდომობას, ციფრულ განათლებას და უსაფრთხოებას.

გაეროს რეკომენდაციები ხაზს უსვამს ბავშვებისთვის ციფრული განათლების და ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, რაშიც სახელმწიფო, ოჯახი, მშობლები, მასწავლებლები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო და საჯარო სექტორი თანაბრად უნდა იყოს დაინტერესებული. ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ დაბალანსებული მოხმარების და უსაფრთხოების მოსაზრებით შეიძლება. სახელმწიფომ ბავშვებს არამარტო მაღალი ხარისხის ონლაინკლასები უნდა შესთავაზოს, არამედ ციფრული განათლებით მშობლები და მასწავლებლებიც უნდა უზრუნველყოს, ყველა, ვისაც შეხება პატარებთან უწევს. მათი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გაეროს რეკომენდაციებში დიდი ყურადღება ეთმობა ინტერნეტის კონტროლსაც. ამ რისკების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს როგორც მშობლებს და მასწავლებლებს, ასევე თავად ბავშვებს.

ფაქტია, რომ მედია დღეს ჩვენ ირგვლივ აბსოლუტურად ყველგანაა, სახლში, სკოლაში, ინსტიტუტში, ტრანსპორტში, სამსახურში, რესტორანში, თეატრში, კონოში თუ კონცერტზე. ის ჯიბით და სათვალითაც დაგვაქვს და მისი აკრძალვა არათუ რეკომენდირებული არ არის, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელიცაა. უფროსების მოვალეობაა, დროის სწორი მენეჯმენტი გაკეთდეს და ბავშვებს, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, ის დაბალანსებულად მიეწოდოს.

ამერიკელი პროფესორი ლარი როზენი, რომელიც ფსიქოლოგიის და ტექნოლოგიების დარგში ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი და განმანათლებელია, გვირჩევს, რომ ხუთ წლამდე ასაკში კომპიუტერული აქტივობის თანაფარდობა სხვა სახის გართობასთან, როგორიცაა ჰაერზე თანატოლებთან ურთიერთობა, ვარჯიში, მშობლებთან ერთად წიგნის კითხვა ან ფიზიკურად სათამაშოებით თამაში, სულ მცირე, ერთი ხუთზე უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვს დღეში ნახევარი საათით კომპიუტერით, აიპედით, თუ ტაბლეტით სარგებლობის ნებას დავრთავთ, მაშინ დანარჩენი აქტივობისთვის დღეში სულ მცირე ორსაათნახევარი უნდა მივცეთ. წლების მატებასთან ერთად ბალანსის შეცვლა თანდათან კომპიუტერული ტექნიკის და ტელევიზორის სასარგებლოდ შეიძლება. 12 წლის ასაკში ეს დრო შეიძლება გათანაბრდეს კიდეც.

პედიატრიის ამერიკული აკადემიის ცნობით დღეს ამერიკელი ბავშვების საერთო საეკრანო დრო, ანუ ის დრო, რომელსაც ისინი ტელევიზორთან, ვიდეო-თამაშებზე, კომპიუტერთან, აიპედთან, სმართფოუნთან ან სხვა ეკრანის მქონე ელექტრონულ ხელსაწყოსთან ატარებენ, დღეში საშუალოდ შვიდ საათს უტოლდება. მშობლებს დაბეჯითებით სთხოვენ ერთგვარი საეკრანო „დიეტა“ დაიცვან. ორ წლამდე ბავშვებს საერთოდ არ ურჩევენ ეკრანის მქონე კომპიუტერული ტექნოლოგიებთან ან ტელევიზორთან ყოფნას. ორი წლის შემდეგ ისინი არც საწოლ ოთახში უნდა ჰქონდეთ და კვების დროსაც უნდა მოვარიდოთ. პედიატრიის ამერიკული აკადემია გვირჩევს, ბავშვებისთვის საეკრანო დრო როგორც ადრეულ ასაკში, ასევე თინეიჯერობის დროს ორ საათამდე დავიყვანოთ.

შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით, დიდი რაოდენობით საეკრანო დრო ბავშვებს ძილის პრობლემებს უქმნის, ზრდის დეპრესიის, ჭარბი წონის, შიშების, სხვადასხვა აშლილობის თუ ყურადღების გაფანტულობის გამო შექმნილი პრობლემების შანსს. ინსტიტუტის რეკომენდაციებითაც საეკრანო დრო არა მარტო ბავშვების, არამედ ზრდასრული ადამიანებისთვის, ანუ ჩვენთვისაც ორ საათამდე უნდა შეიზღუდოს. გთავაზობთ ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის რეკომენდაციების სრულ სიას:

- ტელევიზორი ან კომპიუტერი ბავშვის საწოლი ოთახიდან გაიტანეთ
- არ გამოაყენებინოთ ისინი კვების და საშინაო დავალების კეთების დროს
- არ დატოვოთ ტელევიზორი მხოლოდ ხმის მოსასმენად. სჯობს, რადიო ჩართოთ ან საერთოდ ყველაფერი გამორთეთ
- წინასწარ შეადგინეთ საყურებელი პროგრამების სია და გამორთეთ ტელევიზორი მათი დასრულებისთანავე
- შესთავაზეთ ბავშვს სხვა აქტივობები, ითამაშეთ სახლში ერთად ან გარეთ გაისეირნეთ
- ჩაინიშნეთ, რამდენ საათს ატარებთ ეკრანთან და იმდენივე დრო დაუთმეთ სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობას
- ეცადეთ, სანიმუშო მშობელი იყოთ და საეკრანო დრო თქვენთვისაც ორ საათამდე შეამცირეთ
- თუ ძილის წინ ტელევიზორის გამორთვა გიჭირთ, გადაიყვანეთ ის ავტომატურ ძილის რეჟიმზე
- მოაწყვეთ გამოწვევა ოჯახში: გამოაცხადეთ ერთი კვირა ტელევიზორის ან სხვა საეკრანო დროის გარეშე. მოიფიქრეთ ისეთი ფიზიკური აქტივობები, რაშიც მთელი ოჯახი ჩაერთვებით.

საფრანგეთის სკოლებში მოსწავლეებს შესაძლოა სმარტფონების გამოყენება აეკრძალოთ

საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც დაწყებით და საშუალო სკოლებში მოსწავლეებს მობილური ტელეფონებით სარგებლობას უკრძალავს.

“ბი ბი სის” ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტს სენატი დაამტკიცებს, 15 წლამდე მოსწავლეებს სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე მობილური ტელეფონებით სარგებლობა აეკრძალებათ. სამუშაო დროს იგივე აკრძალვა ექნებათ მასწავლებლებსაც.

კანონპროექტის ინიციატორი განათლების სამინისტროა, რომელსაც მიაჩნია, რომ აკრძალვის შედეგად მოსწავლეები მეცადინეობას უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ, გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობს ინტერნეტში სკოლის მოსწავლეების ძალადობასა და პორნოგრაფიის გავრცელებასთან ბრძოლას.

კანონპროექტის მოწინააღმდეგები აცხადებენ, რომ ასეთი კანონის აღსრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება და მას ხელისუფლების პიარსვლად აფასებენ. სკოლებში სმარტფონების აკრძალვა ემანუელ მაკრონის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

საფრანგეთში 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, საკუთარი სმარტფონი 12-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეების 90%-ს აქვს. გაკვეთილების დროს მათი გამოყენება სკოლების ნაწილს შიდა რეგულაციებით უკვე აკრძალული აქვს.

ხსოვნა

ფიქრია ქადაგიძე

აი, გავიდა 40 დღეც და შენ ჩვენს სკოლაში აღარ შემოსულხარ-ღიმილიანი სახით, პასუხისმგებლიანო და თბილო ადამიანო.

ყველა თანამშრომელი, მოსწავლეები და მათი მშობლები ძალიან განვიცდით უშენობას.

იმედია, უფალი შენი განვლილი სწორი და კეთილი ცხოვრებით დაგიმკვიდრებს სასუფეველს, სადაც მართალნი განისვენებენ.

ჩვენ კი ყოველთვის ვილოცებთ შენი სპეტაკი სულისთვის.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის
პედკოლექტივი და ადმინისტრაცია.

ზესნა ტოკლიკიშვილ-ჯანიაშვილი

იმ მადლს შორის, რომლის გამოვლინების შესაძლებლობა უფალმა ადამიანს მისცა, სიკეთის კეთებისა და მადლიერების გამოხატვის უნარები. სწორედ მოყვასისთვის,ახლობლებისა თუ თანამშრომლებისთვის სიკეთის კეთება, ხელის გამართვა და თანადგომა იყო შენი ცხოვრების მიზანი.

ძვირფასო ზესნა, შენ ერთგული მეუღლე და სამაგალითო დედა-ბებია იყავი. მეუღლე ანზორმა და შვილებმა, თამარმა და თამაზმა, ყველაფერი გააკეთეს შენი ავადმყოფობის დასახმარებლად, მაგრამ დაუძლეველი სენის წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ.

საყვარელო ზესნა, ჩვენ, N5 ბაგა-ბაღის თანამშრომლები, არასოდეს დავივიწყებთ შენს ორმოცდაათწლიან ღვაწლს, აქედან ოცდაათი წელი ხომ ჩვენი გამგე იყავი. შენ გქონდა უნარი ბაღის მეცადინეობები რაციონალურად გაგეაზრებინა, პედაგოგებამდე შენი სათქმელი დახვეწილად მიგეტანა, შენიშვნაც კი თბილი ღიმილით გეთქვა, რომ არავის სწყენოდა, შეგეძლო თითოეული თანამშრომლის პირადი სიხარული თუ სევდა გულთან მიგეტანა და, საჭიროების შემთხვევაში, ყოველგვარი ანგარების გარეშე დახმარებოდი.

შენი დაუღალავი შრომა მთავრობამაც დააფასა. ღირსების ორდენით, შრომის ვეტერანის მედლით და სხვადასხვა სიგელებით დაგაჯილდოვა.

ზესნა, 15 ივნისს უშენოდ გათენდება დაბადების დღე.ამ დღეს ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით ხოლმე. გპირდებით, ეხლაც შევიკრიბებით და დიდი სიყვარულით გაგიხსენებთ. დასანანია, რომ შენს საფლავზე ვერ მოვალთ, ის თბილისშია. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. არ მოგაკლებთ ლოცვასა და სანთელს, რომელიც სამუდამო სასუფეველს გაგინათებს. დაე, უფალმა შენი უკვდავი სული ნათელში ამყოფოს.

დიდი პატივისცემით

მაყვალა პოპიაშვილი, ციცინო ჩაფიაშვილი, ნათელა თამაზაშვილი, დოდო გოგილაშვილი, ნიაზი პაპუაშვილი, ელა გოგილაშვილი, თამუნა ალადაშვილი, აზა ლაპიაშვილი, რუსუდან კორკოტაშვილი, ეთერი ლოგჯანიძე და სხვა.

შორენა, რუბენ, გუჯა, ციცია მამულაშვილები, ელზა, ელგა ხარაშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ოთარ და მაყვალა მამულაშვილს დედის

მერი გოდერძიშვილ-მამულაშვილის

გარდაცვალების გამო

შვილები: ოთარ, მაყვალა მამულაშვილები, რძალი: მარინა კოჭლამაზაშვილი, შვილიშვილები: რუსუდან, ნესტან, მერცი მამულაშვილები, ირმა, ინგა, მაკა შარმაზანაშვილები, შვილთაშვილები: რუსუდან, მარლენიკო, ლუკა, მათე, ნინიკო და ცოტნე, სიძე გიორგი კახუაშვილი იუწყებიან

მერი გოდერძიშვილ-მამულაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 ივნისს სოფ ზემო მაჩხაანში.

კალიგრაფიის კონკურსი „კალმოსანი“

2018 წლის 23 მაისს მოსწავლე-ახალგაზერდობის სახლში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი „კალმოსანი“. მონაწილეობდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს 5 სკოლის 13 პირველკლასელი.

კონკურსანტებმა კარნახით დაწერეს ლეილა ბაბადიშის ლექსის ერთი სტროფი.

„ხწავლა, ხწავლა, ხწავლა!
აი, შენი ვალი
ამოცანა დღეის,
ამოცანა ხვალის“.

კონკურსის ჟიურიმ მონაწილე უმეტეს კონკურსანტებს 10 და რამდენიმეს - 9 ქულა დაწერა.

შუალედებში მონაწილეებმა წაიკითხეს ლექსები.

ღონისძიება მეტად თბილი და ხალისიანი გამოვიდა. ყველა კონკურსანტს გადაეცა სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი. ბოლოს კი გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

თამარ აბულაძე

კახეთის რეგიონალური შეჯიბრება ფეხბურთში

30 მაისს, ქალაქ თელავში ჩატარდა კახეთის რეგიონის პირველობა ფეხბურთში საჯარო სკოლების, სხვადასხვა რაიონიდან წარმოდგენილ გუნდებს შორის.

დედოფლისწყაროს რაიონიდან სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლიდან წარდგენილმა გოგონათა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი. დაჯილდოვდნენ დაწესებული თასით, სიგელითა და მედლებით, აგრეთვე დაიმსახურეს ანაკლიის საგზურები თიკა ცენტერაძემ, ლინდი ცეცხლაძემ, მარისა ბერიძემ, მანანა ბერიძემ, ანა ცენტერაძემ, ნინი ხოზრევანიძემ, სადა გუსეინოვამ, ლიკა ხარაბაძემ, ლანა ცენტერაძემ.

ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ ქუჩაზე, ილიას უნივერსიტეტის ფილიალის წინ (ყოფილი მესამე სკოლა), იყიდება ერთოთახიანი ბინა. ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე...
ფასი – 2 700 $
მისამართი: რუსთაველის ქუჩა №117
☎ **593 - 275 - 275**

ვადაგადაცილებულ სესხებზე ჯარიმა/საურავების ოდენობა იცვლება

ვადაგადაცილებულ სესხებზე ჯარიმა/საურავების ოდენობა იცვლება. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტშია აღნიშნული, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

კერძოდ, როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა თითოეულ დღეზე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. შესაბამისად, გამოდის რომ სანქციის ოდენობა წლიურად 98.55%-ზე მეტი არ უნდა იყოს.

მაშინ როცა სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციით, „მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს“.

„სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება ვადაგადაცილებისას (ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის ან მისი ექვივალენტის უცხოურ ვალუტაში, ასევე, ამავე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვისას, წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება,“-ნათქვამია განმარტებით ბარათში.

ამასთან, ცვლილებების თანახმად, სესხის ვადაგადაცილებისას, ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე, სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს.

ვ ა კ ა ნ ს ი ა !

გვესაჭიროება მუშახელი სამთაწყაროში, სასურველია, იყოს ახალგაზრდა ოჯახი. სამუშაო დარგი: სოფლის მეურნეობა. დასაქმებულები იქნებიან კვებითა და ბინით უზრუნველყოფილნი, შრომის ანაზღაურება – მაღალი. გამოსაცდელი ვადა –1 თვე. ეს პერიოდი ანაზღაურდება. დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
☎ 577 46 26 27
(დარეკეთ საღამოს საათებში).

ნოტარიუსს ესაჭიროება დედოფლისწყაროს სანოტარო ბიუროში სამუშაოდ თანაშემწე. აუცილებელი მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება (სასურველია იურიდიული), კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, კომუნიკაბელურობა. (სასურველია ახალგაზრდა გოგონა). მსურველები დაუკავშირდით
☎ 555 36 36 10
(საღამოს 19 საათის შემდეგ).

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას **გამყიდველის** პოზიციაზე, მსურველებმა დარეკეთ:
☎ 599 08 01 28

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში 2018-2019 სააღმზრდელო წლისთვის აღსაზრდელთა რეგისტრაცია იწარმოებს 11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით.

განცხადებები მიიღება ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ადმინისტრაციაში ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 9 საათიდან 18 საათამდე.

მისამართი: **ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქუჩა №1.**

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 11.06		სამშაბათი 12.06		ოთხშაბათი 13.06		ხუთშაბათი 14.06		პარასკევი 15.06		შაბათი 16.06		კვირა 17.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
20 °	19 °	18 °	17 °	17 °	16 °	21 °	19 °	24 °	22 °	26 °	21 °	20 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.